

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL„

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	
და გადაწყვეტილებები -----	13-20

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2018	2019
გრძელვადიანაქტივები			
ძირითადისაშუალებები	3	2,423,932	2,123,308
საინვესტიციო ქონება	4	757,386	757,386
არამატერიალურიაქტივები	5	-	-
ბიოლოგიურიაქტივი		22,786	-
სულგრძელვადიანაქტივები		3,204,104	2,880,694
მიმდინარეაქტივები			
მარაგები	6	47,288	21,372
სავაჭროდასახვამოთხოვნები	7	22,142	40,959
ფულიდაფულისექვივალენტები	8	14,107	106,037
სულმიმდინარეაქტივები		83,537	168,368
სულაქტივები		3,287,641	3,049,062
კაპიტალიდავალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებოკაპიტალი		4,258,521	4,016,333
გაუნაწილებელიმოგება		(1,022,948)	(1,004,598)
სულსაკუთარიკაპიტალი		3,235,573	3,011,735
მიმდინარეავალდებულებები			
საგადასახადოვალდებულებები		6,769	575
სავაჭროდასახვავალდებულებები	9	37,599	36,752
მოკლევადიანისესხები	10	7,700	-
სულმიმდინარეავალდებულებები		52,068	37,327
სულვალდებულებებიდაკაპიტალი		3,287,641	3,049,062

დირექტორი: v

[Handwritten signature]

მთავარი ბუღალტერი:

[Handwritten signature]



შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
 მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2019
შემოსავალი	11	88,639
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(67,298)
საერთომოგება		21,341
სხვაშემოსავლები	13	305
ადმინისტრაციული და სხვა დანახარჯები	14	(316,533)
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		313,237
მოგება და ბეგვრამდე		18,350
მოგების გადასახადის ხარჯი		
წმინდამოგება		18,350

დირექტორი: ✓

[Handwritten signature]

მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]



შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	საწესდებოკაპიტალი	გაუნაწილებელიმოგება	სულ
1 იანვარი 2019	4,258,521	(1,022,948)	3,235,573
წლისმთლიანისრულიმოგება	(242,188)	18,350	(223,838)
31 დეკემბერი 2019	4,016,333	(1,004,598)	3,011,735

დირექტორი: ✓

Handwritten signature



მთავარი ბუღალტერი:

Handwritten signature

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 15 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ბათუმის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 445406454. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქუჩა ვიქტორ კუპრაძე, N 72, კორპუსი 2, სადარბაზო 2, სართული 8, ბინა N34, ფაქტიური მისამართი ბათუმი, აკაკი შანიძის ქ. # 13ა. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 3 მაისიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის.

კომპანიის 45%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია აბოლფაზლ აბბასირად, L44130451, J34127818 /ირანი, კომპანიის 35%-იანი წილის მფლობელია ქეიჰან გოჰარინ, N33869706 /ირანი და კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია მაჰმუდ გოჰარინ, T27380839, P41262590, 01501130668 /ირანი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 4,016,333 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 13 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL“,
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით დადებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვ ამოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულები სარსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

(ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან

(ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

საწარმომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად უნდა აღიაროს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

ბ) შემდგომი შეფასება

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულები საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	20-30
ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-7
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7
სატრანსპორტო საშუალებები	7

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები იგაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს დ პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვ ახარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრევირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე საგადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე საგადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საგადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი საგადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მაღი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

3. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტოსაშუა ლებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიაციის ხვედრითი	სულ
2019 წლის 1 იანვარი	1,436,248	764,864	119,650	551,266	492	151,660	3,024,180
შემენა	-	20,008	381	-	-	322	20,711
გასვლა	(207,329)	-	(4,977)	-	-	-	(212,306)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,228,919	784,872	115,054	551,266	492	151,982	2,832,585
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 1 იანვარი	-	(167,789)	(83,677)	(259,778)	(457)	(88,546)	(600,248)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(37,112)	(6,527)	(55,151)	(35)	(15,181)	(114,006)
გასული ძირითადისაშუა ლების ცვეთა	-	-	4,977	-	-	-	4,977
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(204,901)	(85,227)	(314,929)	(492)	(103,727)	(709,277)
ნეტოსაბალანსო ღირებულება							
2019 წლის 1 იანვარი	1,436,248	573,881	52,474	329,741	34	67,451	2,459,829
2019 წლის 31 დეკემბერი	1,228,919	579,971	29,827	236,337	-	48,255	2,123,308

4. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა-ნაგებობები
2019 წლის 1 იანვარი	757,386
შემენა	-
გადაფასება	-
2019 წლის 31 დეკემბერი	757,386

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	სულ	
2019 წლის 1 იანვარი	-	-
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
წლის ამორტიზაციის ხარჯი	-	-
გასული არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-
ნეტოსაბალანსო ღირებულება		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ნედლეული დამასალები	6,586	9,217
მზა პროდუქცია	22,493	254
სხვა მარაგები	18,209	11,901
სულ მარაგები	47,288	21,372

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან დამოსახურებიდან	34362	37,699
წინასწარ გაცემული ავანსები	11,845	5,180
მოთხოვნების წარმოსპერსონალის მიმართ	1	30,000
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(24,067)	(31,920)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,142	40,959

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფულის აღროში	9,856	16,732
ეროვნული ვალუტარეზიდენტბანკში	4,252	89,305
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	14,107	106,037

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები მოწოდებიდან დამოსახურებიდან	37,491	36,752
გადასახდელი ხელფასები	108	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37,599	36,752

10. მოკლევადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
სესხები პარტნიორებისგან	7,700	-
სულ მოკლევადიანი სესხები	7,700	-

11. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი მზაპროდუქციის რეალიზაციიდან	39,119
შემოსავალი მომსახურებიდან	30,183
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	19,337
სულ შემოსავალი	88,639

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2019
რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულება	(32,768)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(34,530)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(67,298)

13. სხვა შემოსავლები

	31 დეკემბერი 2019
ზარალის კომპენსაცია	305
სულ სხვა შემოსავლები	305

14. საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები

	31 დეკემბერი 2019
შრომის ანაზღაურება	(120,218)
ცვეთა და ამორტიზაცია	(113,366)
გახარჯულის აწვავი	(7,059)
დაზღვევის ხარჯი	(16,830)
საგადასახადო ხარჯი	(21,777)
სხვა საერთო ხარჯი	(18,106)
კომუნალური	(4,510)
სოციალური დანარიცხები	(1,228)
გახარჯული შესაფუთი მასალა	(105)
კომუნიკაციის ხარჯი	(1,322)
გახარჯულის არეკლამოვასა და	-
მომსახურების ხარჯი	(3,000)
რემონტის ხარჯი	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(1,159)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(7,853)
სულ საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	(316,533)

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

15. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2019 წლის დასაწყისში		
სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	36,752
2019 წლის ბოლოს	-	36,752

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
2019 წლის დასაწყისში		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	-	106,037
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	40,959
გაცემული სესხები	-	-
2019 წლის ბოლოს	-	146,996

შპს „TISCOOPAN INTERNATIONAL „
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)